№ 84
შაბათი, 22 აპრილი 1895

1877—1895

ივერია

№ 84
შაბათი, 22 აპრილი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

ბაზეთის ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	70
9	8	—	3	3	55
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ

დანიშნულია 7 მაისს.

ვისაც ჭსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს **კნ. ოლგა თადეოზის ასულს ყავლაგანისას.**

(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი № 21).

ვკისრულობ

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების განაკეთში დაგირავებებს.**

მსურველთა მოგემართონ დილის 8—10 სასთამდე და სალამოს 6—8 სათამდე.

ადრესი: ჩუღურეთი, პანასვილის ქუჩა, სახლი ქობულაშვილისა, 17.

(15—„)

ივერიის რედაქციისაგან.

მოვალეობენ ჩვენს ხელის მომწერელებს, სოფლის მასწავლებელთა გარდა, რომ, ვისაც ხუთი მანეთი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, პირველს მაისამდე კიდევ უნდა წარმოადგინოს ფული, თუ სულ არა, რამდენიმე მაინც.

ძმ. ნიპიტინთა ცირკში

შაბათს, 22 აპრილს, 1895 წ.

პირველის თვალთ-მაქცის **ნ. ს. ჯოზეფოვის** მიერ გამართულ იქნება

დიდი ფენტასტიური წარმოდგენა უკანასკნელად.

ეს წარმოდგენა ამოღებული იქნება არაბულ ზღაპრებიდან 1001 ღამე.

წარმოდგენაზედ იქნება ნაჩვენები

ფელეტონი

საშინელი ბრძოლა.

კომედია 5 მოქმედებად.

(ეუმდგენი ქართველს ქალებს).

(შემდეგი *)

გამოსვლა მეშვიდე.

იგინივე, მაია და მენიკო.

მაია. (შემოდის სიჩქარით) აა, კიდევ შეყრილან ჩემი ძვირფასი ტუმრები!.. უი, ჩემს თვალებს—დაგამშიეთ!.. ეხლავე მოგართმევთ სადილს, გენაცვალეთ სულში...

სოფიო. ნუ ბოდიშობ, ნუ, ჩემო რძალო, შემშლილით ლამის წავიქეცე!

მიზარბეგი. (ჯარდამზედ ფეხზე ეწევა) ნეტავი ეგ პატივ-საცემი კაცი არ მოგეკლა, თორემ ჩვენ შენი ჭირი წაგვიღია!..

მაია. ვინა? ვარლამი? (სიცილით) აი, სწორედ მაგას მოვერიდები, როგორ არა! (ჯარდამს ეუფრს აუწევს).

მიზარბეგი. დახე როგორ ეთამაშება!.. ქალო, ვინ გგონია შენ ვარლამი?!.

მაია. ვინა და ვახტანგ გორგასლანი, მისმა მზემ!

მიზარბეგი. ვა, პირველი ადვოკატია ჩვენში, ქალო!

*) იხ. „ივერია“ № № 82, 83.

სულ ახალი ნომრები და არავითარი ერთობა არ ექმნება წინანდელ წარმოდგენებთან.

განუოფილება I-ელი.

ფაკირთა ხუმრობანი.

განუოფილება II.

ნეიგარის წყალ-ვარდნილი.

განუოფილება III.

დამაგიმრება, ანუ ამერიკული სპირიტიზმი.

ადგილების ფასი დაკლებულია: ლოჟა დამატებითის გარდასახადით 4 მან., სკამები მანეულში 1, 2, 3, 4, 5 და 6 თითო მანეთი. ლოჟებ წინ 1 და 2 რიგის ადგილები 80 კაპ., ლოჟებს უკან 1, 2, 3, 4 და მე-5 რიგი 55 კ., გალერეია 25 კ.

მაია. (ცხარებით) მერე რა ვუყოთ?! ჩემს ხელშია გაზრდილი!.. ვარლამის კაცობას არავინ მოელოდა, თქვენ არ მოუკვდეთ ჩემს თავს!.. საბრალო დედა-მისი ირინე დღე და ღამ მაგის სიმახინჯეს სტიროდა... მუცელი ასე ჰქონდა გამობერილი (უჩვენებს), ღიპი გულამდის ჰქონდა ჩამოსული... არც რაიმე ნიკი ეტყობოდა... დღეს-კი რაღაც მანქანებით კაცს დაეშზგავსა: მუცელიც დაეკარგა (დაჭერაკს ჯარდამს მუცელზედ ხელს) და ღიპიცა... (სიცილით სიცილია).

ვარლამი. (სიცილით) კნეინა, თქვენ მე პასუხს გაგებინებთ შეურაცხყოფისათვის.

მაია. (სიცილით მოკუნტულ) ნუ, გენაცვალე, ნუ! ისეთს ჩახოხბილს დედალს გიკეთებ სადილად, რომ სულ თითებს დაიკვნეტ... ვენაცვალე ჩემს მენიკოს,—მის მასწავლებელს ვისტუმრებ დღეს... (გადის სიჩქარით და თან იძახის: „ჩაბილ! ჯარდა! მაღე სადილ!“).

გამოსვლა მერვე.

იგინივე და კონდრატე.

კონდრატე. (შემორბის და დაეცემა ტახტზედ) უჰ, რა დავიღალე! თანაც ეგ წყეული სიცხეა!.. (ცხვირსახოცით აწმენდს ოფლს) ლამის ძაღლივით ენა წამოვაგდო! (წამოხტება) მაგრამ ის-კი შემიძლია, ბატონებო, თამამად ვსთქვა, რომ ჩემს წმიდა მოვალეობას სინდისიერად ვასრულებ!.. მე არასოდეს არ ვივიწყებ ქვეყნის და საზოგადოების სამსახურს... დღეს უკანასკნელი ათი ვერსი მაინც გავიარე ფეხით და ბევრს სხვა-დასხვა საზოგადოებაში ვსთქვი სიტყვა...

მიზარბეგი. ბარაქალა, ძალიან მოგისწრიათ, მე და ჩემმა ღმერთმა!...

ბეყანი. უთუოდ ორ-ორ სიტყვას იტყოდა...

კონდრატე. არა, კნიაზო! განა საქმეზედ შეიძლება მოკლედ ლაპარაკი!... პირველი სიტყვა წარმოვსთქვი „პოეტთა დამხმარებელ საზოგაოებაში“, ეგ ახალი საზოგადოებაა... თავმჯდომარედ მირჩევდენ, მაგრამ უარი ვსთქვი... დიდხანს ვილაპარაკე... მერე იცით რა შთაბეჭდილება მოვახდინე? ამხანაგებმა მითხრეს, როცა ლაპარაკობდი, ციურის ცეცხლით გენთებოდენ თვალები და მსმენელთ ყოველს შენ სიტყვაზედ ერუანტელი უვლიდათ ტანშია.

მელიტონი. (დაცინვით) აი, ნამდვილი პოეტი!

კონდრატე. მეორე სიტყვა ვსთქვი „ლოთობის მომსპობ საზოგადოებაში“... იქაც დიდხანს ვილაპარაკე და დიდი შთაბეჭდილებაც მოვახდინე...

მელიტონი. (დაცინვით) ოჰ, რა შემთხვევები დაგვიკარგავს!

მენიკო. (დაცინვით ჯონდრატს) მე თქვენ უნდა განმიმეოროთ ყველა დღევანდელი სიტყვები, ჩვენო სახელოვანო პოეტო!

კონდრატე. ოჰ, თქვენს თხოვნას სიხარულით შევასრულებდი, მშვენიერო კნეინაო, რომ ჩემს ხელთ იყოს ეს! მაგრამ განა ჭეშმარიტს პოეტს შეუძლია განიმეოროს ის, რასაც გამოსთქვამს აღფრთოვანების წამს, როდესაც ციურის ცეცხლით აქვს ანთებული გული?!

მენიკო. (დაცინვით) მაშ საქმლის მადაც დაკარგული გექმნებათ დღეს თქვენ?

კონდრატე. პირ-იქით, ღვთის მზგავსო კნიაზო,—ძალლივით მშია!.

მენიკო. მაშ სიტყვის თქმის დროს მდელვარებას არ გრძნობ თუ?

კონდრატე. შევეჩვივ კნიაზო!... სამშობლოს სამსახურმა ყველაფერს შემაჩვია!... სიტყვების თქმა რა არის! მე ეხლა სულ სხვა რამე მაწუხებს: ამ დღეებში მე ჩავუჯექი ახალს პოემას; ჩემის ანგარიშით ეგ პოემა ძალიან დიდი უნდა გამოვიდეს,—ყველა ჩემს ძველ პოემებზედ უფროსია...თუ ღმერთი შემეწია და შევძელი ამ პოემაში იმ აზრების გატარება, რომელნიც დიდი ხანია მიტრიალებენ თავში, მაშინ-კი შემეძლება დამშვიდებულად სიკვდილი... ოოო, ბევრი, ბევრი სოფლიო აზრები უნა გამოვიყვანო ამ პოემაში!

მენიკო. (დაცინვით) თანამედროვე ცხოვრებიდგან არის თქვენი პოემა, თუ ისტორიულია?

კონდრატე. რასაკვირველია, ისტორიულია! განა თანა მედროვე ცხოვრებიდგან ნამდვილი პოეტური რამ დაიწერება?! პოემას სახელად ეწოდება „დამბული დევი.“ ჩემის ანგარიშით ორასამდე კაცი უნდა იქნეს შიგ გამოყვანილი... ზარბაზნების სროლაც იქნება... პოემის შინაარს მოგახსენებთ, ბატონებო: მთელის ქვეყნის ხალხს შეუკრებია ძალა და მიუჯაჭვავს უშველებელს რკინის ბალოზედ ცხრა-თავიანი დევი. მიბმული დევი ბლავის საშინელის ხმით, უნდა თავი აიშვას, მაგრამ ამაოდ! ამ ყვირილის გაგონებაზედ წყალში თევზებსაც-კი ეკარგებათ შიშით ფერი... ბოლოს დევი იკრებს უკანასკნელს ძალ-ღონეს, ჭგლეჯს ბალოს და მთელს დედამიწას ძირიანად გადაბრუნებს... იქ, სადაც ეგ საშინელება მოხდა, თვალი დახამხამების უმალ იბადება ედემის მზგავსი ქვეყანა, სადაც ყოველს ნაბიჯზედ ნამდვილი კახური ღვინის შადრევანები სცემენ და ბულბულები სტვენა-ვალობით ატკბობენ მიდამოს. ცოტა ხნის შემდეგ თქვენს თვალს წარმოუდგება დიდებული სურათი: დიდი თამარ-მეფის სასახლე თვალწარმტაცად გაჩაღებულია: თვითონ თამარი ზის ტახტზედ ჩონგურით ხელში, გვერდში უზის დავით სოსლანი, მის წინ სდგას მუხლ-მოდრეკილი შოთა რუსთაველი „ვეფხის-ტყაოსნით“ ხელში, ირგვლივ ახვევია ამა-

ახალი ამბავი

—

*** დღეს, 22 აპრილს, დანიშნულია კრება ტფილისის საგუბერნიო და საქალაქო საკრებულოსი განსახილველად შემდეგის საგნებისა: 1) დაენიშნოს თუ არა პენსია ახლად გარდაცვალებულს პ. ა. იზმაილოვის ოჯახობას; 2) მიეცეს თუ არა მომატებული ჯამაგირი ტფილისის პოლიციმეისტერს; 3) სავალდებულო დადგენილება, შემოშავებული ტფილისის ქალაქის საბჭოსაგან ხე-ტყის სახერხავ ქარხანათ შესახებ პოლიციმეისტერის შენიშვნითურთ და 4) თხოვნა ბ. დავრიშევისა ქალაქის მიმართ, რათა აპატიონ ვალი, რომელიც მასზედ ირიცხება.

*** პ. იოსელიანის მიერ ხელთ-ნაწერი „მეფე გიორგის ცხოვრების“ ერთი წიგნი ტფილისში აღმორნდა; ეს ხელთ-ნაწერი ერთს პატივცემულს ქართველს დარჩენია განსვენებულის პ. იოსელიანის მეუღლისაგან და ახლა დიდად საინტერესო იქნება, რომ განსვენებულის მეუღლემ ეს ხელთ-ნაწერი დაიბრუნოს და გადასცეს იმ პირს, ვინც ამას დღეს საჭიროებს, რადგანაც იგი დღეს იბეჭდება და შემდეგ დაბეჭდვისა ხელთ-ნაწერი შეწირულ იქმნეს წერა-კითხვის სამართველოს წიგნთ-საცავში.

*** გუშინ ტფილისში რუსეთის ფოსტა არ მოსულა.

*** „ივერიის“ მე-81 №-ში დაბეჭდილი იყო პატარა შენიშვნა ქართველ-კათოლიკეთა განსვენებულის მოძღვრის მეჭდლიშვილის ანდერძით შეწირულების გამო. ეხლა ჩვენ შეგიტყეთ, რომ განსვენებულს ანდერძით იმდენი ფული არ დაუტოვებია, რაც მოხსენებული იყო.

ამიტომ საჭიროა, რომ ამაზედ განსვენებულის მემკვიდრეებმა რამე დასწერონ.

*** დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ერთი ქართველი მწიგნობარი აგროვებს ქართველთა მეფეების ბენიების საოხუნჯო მოსწრებულს სიტყვებს. ამას ესენი ადრევე შეუკრებია და ახლა დაბეჭდვას აპირებენ, გამომცემელნი ითხოვენ, რომ თუ ვისმეს რამ გაუგონია ბენიების ოხუნჯობის შესახებ, იმათ შრომა მიიღონ და „ივერიის“ რედაქციას გამოუგზავნონ, საიდგანაც ისარგებლებენ და დაბეჭდვის დროს დამწერთა ცნობასაც მოიხსენებენ.

*** ნატოჩარა: დიდად შეგვაწუხა ჩვენის მხცოვანის მწერალ ქალის ენ. ბარბარე ჯორჯაძის გარდაცვალებამ. მისის ნიჭის პატივის-მცემლებმა პანაშვიდი უკვე გადვიხადეთ განსვენებულის სულის მოსახსენებლად კვირას, 16 აპრილს. შემდეგ პანაშვიდისა სიტყვა წარმოსთქვა ტ. კ., რომლითაც დაგვიხატა განსვენებულის სალიტერატურო ასპარეზზედ მოღვაწეობა.

შემოწირულება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გასამართ ლატარია-ალეგრისათვის იყიდეს ფრაკეს და კორონას მალაზიაში სხვა-და-სხვა ნივთები. მადლობას ვწირავთ გამსყიდველთ, რადგან ეს ნივთები ფასის დაკლებით მოგვყიდეს და მას გარდა შემოსწიროს: პირველმა ჰიქის ჩასაფდამი, ხოლო მეორემ ერთი ხონჩა და ორი ვაზა. მადლობას ვწირავთ აგრეთვე ვაჭარს ფარსადანოვს, რომელმაც შემოსწირა ერთი ფრაკეს ჩაიდანი და სამოდგეე.

*** ტფილისიდგან დაბრუნებისა-თანავე ბ-ნი პუშენჩიკოვი შეჰკრებავს საკერო მოსამსახურეთა რიცხვს და შეუდგება გზის კეთებას ყარსისაკენ, რკინის გზის გასაყვანად, ვიდრე დანიშნავენ ახალს გზის მკეთებელს.

(ტიფ. ლისტ.)

*** იმავე გაზეთს ატყობინებენ, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსად ინიშნება ბ. დომბროვსკი.

*** Сопф. ქვალონი, (სამეგრელო): აქ ყოველ აღდგომის მესამე დღეს იციან ხოლმე თემობა, რომელიც დიდ-ძალს ხალხს იზიდავს ახლო სოფლებიდგან, მაგრამ იშვიათი შემთხვევა იქმნება, რომ ან არ მოჰკლან ვინმე და ან საზარლად არ დაამახინჯონ. სამწუხაროდ, წელსაც არ ჩაიარა დღეობამ უხიფათოდ. ჩხუბი ასტეხა სამი ლოლუამ და ის იყო უნდა მოესპო ერთის ადამიანის სიცოცხლე, რომ ამ დროს მიეშველა საბრალო საქსი ლოლუა, რათა გადაერჩინა პირველის მსხვერპლი, მაგრამ თითონ ამას გამოუდგა სამი ლოლუა და მოჰკლა.

*** ლანჩხუთი: ლანჩხუთის უფასო სამკითხველოს დამაარსებელი შ. ცინცაძე სამუდამოდ გემგზავრა ტფილისს და თავისის მეცადინეობით დაარსებული სამკითხველო ჩაბარა ლანჩხუთის ნორმალურ სასწავლებლის მასწავლებელს კირილე წილოსანს. იმედია, ბ ნი წილოსანი ღირსეულად მოუვლის ხსენებულს სამკითხველოს და ლანჩხუთელებს არ მოაკლებს სულიერს საზრდოს.

სამეგრელო: ეს ორი თვეა, რაც დღე-გამოშვებით წვიმს. მარტის ამინდებსა ვწუნობდით და აპრილს ხომ სულ აერია დათარი. ამ ჰაერის სხვა-და-სხვა გვარმა ცვლილებამ ერთობ შეფერხა ყანაბის მუშაობა და ხეხილებიც ძალიან დაუზიანა. სამწუხაროდ ამას ზედ დაერთო სხვა-და-სხვა ავადმყოფობა, რაც ერთობ გახშირდა ჩვენსკენ. მაგ: ყვავილი, წითელა და სხვა... ამ სენის გაძლიერებას ხელს უწყობს აპრილის ჭინჭყლიანი დარები...

*** ქ. განჯა: ამ რამდენისამე დღის წინად დიდი თოვლი მოვიდა, შემდეგ მოჰყვა საშინელი სეტყვა ქარ-ბუქით და ისე აოხრა აქაურობა, რომ კაცს სანახავადაც-კი შეჰზარავს. ჭირნახული ძლიერ დაუზარალა და ვენახებში, სადაც მშვენიერად იყო კვირტი გადაშლილი; ეხლა მხოლოდ ცალიერი გატიტვლებული ვაზები-ღა სდგას. მიზეზიც ეს არის, რომ დღეს პურით თუ ღვინით ვაჭრობამ საკმაოდ აიწია.

*** რამდენად არიან ჩვენი ბავშვები მშობლებისაგან უყურადღებოდ მიგდებულნი, ამას შემდეგი მაგალითი თავალ-საჩინოდ გვიჩვენებს. გუშინ ასე 7 საათზედ, საღამოთი, მთაწმინდაში, „მეორე ოვრაგის“ ქუჩაზედ რამდენიმე ყმაწვილი თამაშობდა. ერთს მთგანს ხელში რევოლვერი ეჭირა და დრო გამოშვებით იქვე ფიცრის ღობეს ესროდა ხოლმე. შემდეგ ეს განგებ, თუ ისე ფათერაკად, დაუმიზნა თავისთან მოთამაშე ფ—ეს და ესროლა. ტყვია შიგ გულში მოჰხვდა საცოდავს და იქვე განუტევა სული.

შენიშვნა

„ევერიის“ გუშინდელს ნომერში დაისტამბა წერილი „ხმა პოვინციიდგან,“ რომლის ავტორს სრულიად ვერ გაუგია იმ წერილის აზრი, რომელსაც ის არჩევს. ალბად ავტორს მხოლოდ გადაუთვალიერებია ჩვენი წერილი და არ წაუკითხავს-კი, თორემ ადვილად გაიგებდა გასაგების ენით გამოთქმულს მარტივს აზრს. ავტორი ბრძანებს, რომ, ვითომც ჩვენ საუკეთესოდ გვეცნოს სტუდენტი ვერა, შთამომავლობა მაინც დაიფასებს თქვენს ღვაწლს და ნიშს...

კონდრატე. მე ძლიერ მაკვირვებს თქვენი გულ-ქკვიბა, ყმაწვილო; აბა რა ნახეთ სასაცილო ჩემს პოემაში?! მაგრამ არ მიკვირს! თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, ეკუთვნით იმ ზოგიერთს ახალ დროის ყმაწვილებსა, რომელნიც ყველაფერს უარს ჰყოფენ, თვით ღვთაებრივს პოეზიასა!.. თვით რუსთველს, რომლის მზგავსი პოეტი, იცით თუ არა, მოწყალეო ხელმწიფევ, არ ჰყოლია არც ერთს ხალხს, რომლის ნაწარმოებსაც უკვდავების წყაროსაგან ეწოფება მთელი ქვეყანა!.. „ვაი, საბრალოს ჩვენს საქართველოს, თქვენ დაებადეთ სადიდებელად!“

მელიტონი. ბატონო კონდრატე, ტყუილად ცხარობთ: ჩვენ პოეზიას დიდად ვაფასებთ; ვიცით, რომ უბოეზოთ ერთი ფილოსოფოსის თქმისა არ იყოს, კაცი კაცისთვის მგელი შეიქმნებოდა... ვიცით, რომ რუსთველი ნიჭიერი მწერალი იყო... მაგრამ ისიც ვიცით, რომ უაზრო სიტყვების რახა-რუხს პოეზია არა ჰქვია... არც ტკბილად ბეულბულივით ჭიკჭიკი აკმაყოფილებს დღეკვანდელს გონება-განვითარებულს ადამიანს... უაზრო პოეზია ვერაფერს გვასწავლის და ვერც ზნეობრივად გაგვწვრთნის... არც სამშობლოს მეიცემა თქვენს ქება-დიდებით შეება... კიდევ გთხოვთ, ბის მიერ შედგენილი პროექტი და რომ მას-კი უფრო ბ.ბ. მგელადძის, დიასამიძის, მიქაბერიძის და თარხნიშვილის წესდება მოსწონებია... საქმე ასე არ გახლავს. ჩვენ ძლიერ მოგვეწონა ეს რთული წესდება და გაკვრით კიდეც აღვნიშნეთ მისი დიდი მნიშვნელობა ჩვენს ცხოვრებისათვის. ჩვენ ვთქვით, რომ ეს წესდება უთუოდ გამოგვადგება-თქო, და სჯობია იგი ავირჩიოთ დასამტკიცებლად წარდგენისთვის, მაგრამ ჩვენ ისიც დავუმატეთ, რომ ამ წესდებაში უნდა შეტანილ იქმნას ერთი მუხლი, რომელით უპირატესობა სტუდენტების დახმარებას უნდა ერგოს. ჩვენის წერილის დედა-აზრი იყო: არც ეს რთული წესდება უნდა გავუშვათ ხელიდგან და არც ის დავივიწყოთ, რომ თავდაპირველად სტუდენტების დახმარებაზედ უნდა ვიზრუნოთ

კარგი იქნება დაამახსოვდეს ბ-ს „ი“-ს, რომ საპირისპირო ამისი წაკითხვა, რის გარჩევასაც აპირებს!

ლალი.

ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ.

ᲠᲣᲗᲘᲜᲘ, 12 აპრილი. პირველად რომ „შეგნებულ-ნასწავლი“ მამასახლისები დანიშნეს ქართლის სოფლებში, სოფლის გულ-შემატკივართა ალტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ვიფიქრეთ, იქნება ღმერთმა გვიშველოს და ცოტათი არის მაინც შეუმსუბუქდეს მაშვრალს ხალხს ტანჯული ცხოვრებაო, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენი იმედები ტყუილი გამოდგა და „ნასწავლმა მამასახლისებმა“ უფრო ხერხიანად მოსთალეს „საერთო დუმა“, მაგალითად, ჩვენი ნასწავლი მამასახლისი თურმე სისხლსა გვწოვდა და ჩვენ-კი ეხლა მივხვდით. თურმე ამ მამასახლისის მეოხებით დაგვაწერეს სამასის თუმნის ნედლიმკა. გაიგეს თუ არა სოფლის გულშემატკივართ ეს ამბავი, სამი ახალი ლა და სამეფო კარის წარჩინებულნი... ეგ კიდევ არაფერი... თქვენ უყურეთ, რა საუცხოოდ უნდა გათავდეს პოემა: ერთს უმნკოლ ბაღში, მტკვრის პირად, დიდი მეჯლისი: ორასამდე ქართველი ქალი და კაცი მამაპაპურად ჩაცმული სუფრას უზის და ლხინობს... ზურნა, სიმღერა, ლეკური.

ყველანი. (ტაშის კვრით) საუცხოოა, საუცხოო!

მელიტონი. (დაცინვით) ეგ რაღაც ფეერიის მზგავსია, ბატონო კონდრატე! რაღაც ოფფენბახურია!

მენიკო. (სიცილით) ჰო, ოფფენბახის „მთვარეზედ მოგზაურობას“ ჰგავს...

კონდრატე. დიაღ, დიაღ, ბატონებო, ჩემი პოემა ნახეკრად ზღაპრულია, ფანტასტიკური და ნახეკრად ისტორიული... ეგ მე განგებ ვქენი: მინდა ღრმა აზრები გავატარო შიგ... მერე მიხვდით, ბატონებო, რა ღრმა აზრი გამყავს ამ ჩემს პოემაში? ნაძლევსა ვდებ, რომ ვერა! იცით, ვინ იგულისხმება დამშულ დევად? ჩვენი საყვარელი სამშობლო საქართველო. (ჯაბაურობს ხელებს) საყვარელო სამშობლოვ, ვერას დამაყვედრი! შენს სამსახურს შეეწირე ჩემი ცხოვრება, დღე და ღამ არა მძინავს, შიმშილს და წყურვილს არად ვიმჩნევ!..

მელიტონი. (ხარხარებს) დამშვიდით, ბატონო კონდრატე: თუ ჩვენ დარწმუნდეთ ბატონო კონდრატე, რომ მე არა ვარ „ჭკუით ურწმონო, გულით უნდო და პოეზიას თაყვანსა ვცემ; მეც ვწერდი ოდესღაც ლექსებს... არც ისე დიდი ხანია, რაც მე უნივერსიტეტში ერთი ლექსი დავწერე და ვუძღვენი ჩემს ამხანაგებს... ეგ ლექსი სასიმღერო და კიდევაც ხშირად ვმღერით ამხანაგები. თუ მოისურვებთ, დიდის სიამოვნებით წაგიკითხავთ როდისმე ამ ლექსს... არ ვიცი, მოგეწონებათ თუ არა...

(კუდალისბადგან მოისმის ზურნის ხმა).

ყველანი. სუ! ზურნა ისმის!

მელიტონი. უთუოდ ვინმე საქართველოს ბურჯთაგანი გამოვიდა საქეიფოდ!..

ბეყანი. ნიძლევს ვდებ, რომ ეგ ტიფოა...

მიზარბეგი. (ამოოხრავს) ოჰ, ღვთის გულისთვის, ნუ გამაგონებთ მის სახელს!

(კუდალისბადგან მოისმის ტიფოს სიმღერა).

„მე სულ კეთილობ, რასთვის მინდა ქონება?

კოგებ და ჯუბმ, კადეტ მაქს შნოება!

ლოთაანსად, კისაგ ბუნებაკთ, მეწვიეთ,

ვინც ლოთი ხართ, მაშ ამბავი გამიეიეთ“

ყველანი. ტიფო ყოფილა, ტიფო! (შემოდის ტიფო მთვრალი ბოთლით ხელში)

გამოსვლა მეცხრე.

იგინივე და ტიფო.

ტიფო. (ხარხარებს და მღერის) „ჭირიმე-ჭირიმე-ჭირიმე“... ა

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

„კელნის გაზეთიც“ აქებებს საამრად თავისის ქვეყნის მთავრობას და აფრთხილებს—არ გაუშვათ ხელიდგან საუცხოვო დრო და არ დაღუპოთ ევროპაო. ერთხელ კიდევაც დამმახოთ ამგვარი სამარცხვინო საქმე ევროპასაო, როდესაც ჰქონდა საშუალება დაებმო ამერიკა, მაგრამ არ ისარგებლა შემთხვევით და დაუძინებელი მტერი და ყოველისფერში მეტოქე—ამერიკა გაიჩინა გვერდით.

„ახლა ეზიაც, როგორც ასის წლის წინად—ამერიკა, დგება ევროპის გვერდით და მოწადინებულია სრულიად დამოუკიდებელი ცხოვრება შექმნას. მარჯვე და ნაყოფიერის მიღებაწუთით იაპონიამ დამტკიცა, რომ ის უნდა გახდეს მონგოლთა წინამძღოლად და ეზიის ამოლრძინებლად; ჩინეთზედ შესანიშნავის გამარჯვებით იაპონიამ დამტკიცა, რომ მას ძალაც მოეპოვება ეზიის ერთი მეთაურად გახდეს. ჯერ-ჯერობით იაპონია უახლოვდება ჩინეთს და ჰსურს ეს მდიდარი ქვეყანა და ნიჰიერი ხალხი ევროპის განათლებით ააღორძინოს. თუ იაპონია შესძლებს არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეკონომიურადაც გაბატონდეს ჩინეთში, ცხადი იქნება მაშინ, რომ იაპონია ოდესმე სრულიად განდეგნის ევროპიელთ ეზიიდგან, ისე როგორც ამერიკელებმა ამერიკა განათავისუფლეს ევროპიელთა ბატონობისაგან. აი ამგვარი განსაცდელი მოელის ევროპას და ამიტომ საჭიროა ერთობა დამკვიდრდეს ევროპის ერთა შორის; საჭიროა, დაუფიქრებლივ დავმზოთ ძველა-მოსილი იაპონია, რათა ამით ან საბუდამდე და ან ხანგრძლივად მაინც ვიქმეთ ეზიის მფლობელადაო.

უცხოეთი

ინგლისი. პასექის დღესასწაულების შემდეგ, ათს აპრილს, კვლავ დაიწყო პარლამენტის სხდომა. პირველი საყურადღებო ამბავი იყო გიულის პარლამენტის თავმჯდომარედ ამორჩევა. პარლამენტის ახალი თავმჯდომარე სამს საათზედ შევიდა დარბაზში, პარიკით, ხოლო მანტია არ ეცვა, ჩვეულებრივის ლოცვის წაკითხვის შემდეგ მიწვეულ იქმნა ზემო-პარლამენტში. ლორდების პალატაში მან კომისარებს, რომელნიც უნდა წარდგენენ დედოფლის წინაშე, გამოუცხადა, რომ „მისის უდიდებულესობის ბრძანებით იგი არის ამორჩეული პარლამენტის თავმჯდომარედ“. მერე წაკითხულ იქმნა დედოფლის ბრძანება და ბოლოს ლორდ-კანცლერმა უთხრა გიულს, რომ დედოფალს იმედი აქვს მისის ნიჰიერებისა და სწამს, რომ ის კარგად შეასრულებს თავისს თანამდებობას. ამაზედ გიულმა უპასუხა, რომ ის მორჩილი იქნება დედოფლის ბრძანებისა და თუ რამე უნებური შეცდომა მოუხდა თანამდებობის აღსრულების დროს, ეს შეცდომა ერთიან ჩემს თავზედ მიმიღიაო.

ამის შემდეგ გიული ამხანაგებთან ერთად შევიდა ისევ ქვემო-პარლამენტში, ჩაიცვა მანტია და გამოაცხადა თავისი დამტკიცება პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზედ.

უცხოეთის ᲬᲐᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ.

კვრონიელებს უკვირთ ამერიკელ ქალაქების სწრაფი ზრდა, მაგრამ კვრონიელი ქალაქები უფრო შესაძლებელად მატულობენ, მაგალითად: ბერლინი 1860 წელს ფ�დელფიაზედ პატარა იყო, ახლა ფილადელფია ერთი მილიონი მცხოვრები, ფილადელფიასა-კი ნახევარ-მილიონი. 1870 წელში ბერლინში 800 ათასი მცხოვრები ირიცხებოდა, ნიუიორკში 950 ათასი. ახლა ბერლინში 1,578 ათასი მცხოვრებელია, ნიუიორკში-კი 1,515 ათასი. გაშუალებულ-ში 1875 წლიდგან 1890 წლამდის მცხოვრებთა რიცხვი აკიდა 569 ათასამდე, ბოსტონში-კი ამავე წლიდგან 448 ათასამდე. ლეიპციგ'ს, მიუნსენს და ბრესლაველს ამავე წლიდგან ამატა მცხოვრებთა რიცხეთი და ს. ფრანცისკოს და ტანცინატს წინ გაუსწრეს, თუმცა 1875 წელში ეს უკანასკნელნი უფრო მეტ-ად იყენენ დასახლებულნი. უკანასკნელს წლებში კელიკეელდმ, ბუფალომ და პიტსბურგმა ამატეს (თითოეულმა 100,000 მცხოვრებით), მაგრამ ამავე დროს �nlმა ამატა 150,000 მცხოვრებით. მაგრამ სასტრეული არ არის ამასთანავ სწრაფი ზრდა ქალაქებისა, რადგანაც სასლებსა ამსება მცხოვრებლებით, თითო ოთახშია-კი ორ კაცზედ მეტი არ უნდა სცხოვრობდეს მცხოვრებლების 14%-დგან ბრალისა თითო ოთახზედ 3—7-მდე კაცი მოდის. ბერლინში და კანში ეს რიცხვი ოც-და-რვამდე ადის; პეტერბურგში თითო ოთახზე 46 კაცი მოდის, მოსკოვში—41, ბუდაპეშტში 71. ეჭვი არ არის, რომ ამასთანავ მეტად რა ცხოვრება ჭირდებს სხვა-და-სხვა გაღდებულ ავადმყოფობებს და ზნეობის გახრწნილებას ხელს უმრთავს. სასლების აშენების დროს ოთახების სიმრავლეს და ქორას-კი არ უნდა აქცევდნენ ყურადღებას, არამედ ამას, თუ თითო ოთახში რამდენს კაცს შეუძლიან იცხოვრის.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ბ. ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ.

მე ჩემის კითხვით მხოლოდ მინდოდა შემეტყო თქვენგან ჩემის პიესის ნაკლი, რომელიც ახლა თქვენ აღმოაჩინეთ მასში, და რომელიც მხოლოდ თითო სიტყვით აღნიშნეთ აუხსნელად და განუმარტებლად. თქვენგან აღმოჩენილი ნაკლი არც ბატონს ფრონელს და არც სხვა ვინმეს არ შეუნიშნავს. მათ რაც შენიშნეს, საკმაოდ გაგვითავლისწინეს. ბ. მნოელიძეს ჩემი პიესა სრულეთით არ გაუხარეია. აი სწორედ ამისათვის მოგმართეთ თქვენ თხოვნით—თქვენგან აღნიშნული ნაკლი აგეხსნათ და განგემარტათ. თქვენ-კი ეს ჩვენი სურვილი ისე გაგიგია, ვითომც თავს ვმართულოსობდე, ჩემის პიესის ღირსებას ვიხსენიებდე და მიბრძანებენ, „თქვენი მტარვალი დრამად არ ვარგა და სხვა“... მერე ვინ გეკამათებათ მაგაზედ? ღმერთმა გვაშოროს მაგ-გვარს თავ-მოყვარეობას.

ბრძანებთ, რომ „სახელ-მძღვანელოს წერა დრამებისა და ტრაგედიების შესახებ მე არც განმიზრახავს, არც განზრახვა მაქვს და ვერც შეეძლებ, ისე როგორც თქვენ (ნეტა ვიცოდე მე რა შუაში ვარ აქა?) და მითითებთ განათლებულ ერთა ლიტერატურაზედ, კრიტიკაზედ და სხვა...

სახელ-მძღვანელოების წერას რომ ვერ შესძლებთ, მაგაში არა სტყუით, მაგრამ რომ განზრახვა რამ არა გქონდეთ— რეცენზიების წერას არ შეუდგებოდით, მხოლოდ თქვენ თვით არ გესმით, რა განზრახვითა სწერთ რეცენზიებს. მაშ თუ ის განზრახვა არა გაქვთ, რომ ჩვენ ახალ-მოზარდ მწერლებს მოგვცეთ გონების საზრდო, თუ განზრახვა არა გაქვთ, რომ კრიტიკამ (რეცენზია ხომ იგივე კრიტიკაა?) უნდა გვიჩვენოს ჩვენ წეს-რიგი მწერლობისა, რომ კრიტიკამ უნდა გამოზარდოს რიგიანნი მწერლები, მაშ რაღა პირითა სწერთ რეცენზიებს? ან სხვა რა განზრახვა უნდა გქონდეთ? რომ დამცინავის ოხუნჯობითი და მოუფიქრებელის ცილის-წამებით სხვისი თავ-მოყვარეობა და პატიოსნება შელახოთ?..

რომელ განათლებულ ერთა კრიტიკაზედ მითითებთ, ან სადა გვაქვს ჩვენ, ქართველებს, ამგვარი კრიტიკები ნათარგმნ? ვერც ერთს ვერ დამისახელებთ და სწორედ ამ მიზეზის გამო ჩვენი რეცენზენტები გულ-დასმით და სინიდისიერად უნდა მოეტანენ თავიანთს ნაკისრ საქმეს.

„ჩემი შენიშვნა შეიცავდა არა თქვენის დრამის გულ-დასმით გარჩევას, არამედ საყვედურს მსახიობთა მიმართ, რომელნიც არ სცდილიყვნენ საუკეთესო პიესის წარმოდგენასა“, ბრძანებთ განა მარტო ამით შესცოდეს მათ საზოგადოების წინაშე? განა როდისმე გამოუჩენიათ ისეთი როლების არ ცოდნა, როგორიც იმ ღამეს გამოიჩინეს? განა ისე მოუშზადებლად რომელიმე პიესა წარმოუდგენიათ? განა ისე უდიერად რომელიმ ე პიესას მოჰპყრობიან? სხვა დროს რეცენზენტები მსახიობების ნაკლს, თვით მცირე ნაკლსაც-კი აღნიშვნენ ხოლმე რეცენზიებში და ის გათახსირება პიესისა მსახიობთაგან, ისე უწყალოდ დამახინჯება, რომელმაც დამსწრე საზოგადოება აალაპარაკა, თქვენს ყურადღებას ასცდა, თქვენი საფარველი კალთა გადაეფარა და ამით აღმოჩნდა, რომ თქვენ თეატრის მოყვარული-კი არა, მხოლოდ მსახიობ ქალთა და ვაჟთა მოყვარული ბრძანებულხართ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ დღეს თუ ჩემს პიესას მოეკლნენ ამ რიგად, ხვალ თქვენსას მოეკლვენინ ზეგ სხვისას და თუ სულ ასეთი მფარველობა გაუწიეთ მათ—თეატრს ვერაფერს მოყვარობას გაუწევთ.

თქვენა ბრძანებთ: გაკვრით-კი იყო ნათქვამი, რომ „მტარვალი“ სუსტი და შეკონკილი პიესაა. არა, ასე არ გიბრძანებია. ინ თქვენი სიტყვები: „რომელიც სამშობლოს და სხვა პიესებიდგან ამოგლეჯილის ადგილებით არის შეკონკილი.“ აი ამ სიტყვებმა გამოიწვიეს ჩემი კითხვა, რის პასუხადაც ბრძანებთ თქვენ: „ცილის წამება იქნება, თუ ვსთქვი, რომ „მტარვალი“ „სამშობლოს“ პირ-დაპირი შედეგია, დაწერილია იმ შთაბეჭდილების გავლენის ქვეშ, რაც „სამშობლომ“ მოახდინა ჩვენს საზოგადოებაზედ. თქვენ ეს მაშინ არ გითქვამთ, იმ თქვენს პირველ რეცენზიაში და რომ გეთქვათ, ამ პასუხს მიიღებდით: დიაღაც რომ აგრეა, მართალი ბძანებაა. არ იცით, რომ ხშირად მწერალი, რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოების გავლენის ქვეშა სწერს? აი, თვით თქვენ ბ. თეატრის მოყვარულო, და თქვენი რეცენზიაც, უეჭველად რომელიმე რეცენზენტის და რეცენზიის მემკვიდრე ბრძანდებით. ის აზრი, რომ „მტარვალი“ „სამშობლოს“ გავლენის ქვეშ არის დაწერილი—წინადაც იყო ნათქვამი და ჩვენ ის თქმა ცილის-წამებად არაევისთვის ჩამოგვირთმევია. ესეც-კია, ბ. რეცენზენტო, რომ ჩვენ, ქართველებს ისეთი პოლიტიკური წარსული გვქონდა და აწმყოშიაც ისეთს პოლიტიკურ მდგომარეობის გავლენის ქვეშა ვართ, რომ ჯერ კიდევ ბევრი სამშობლოს მზგავსი პიესები დაწერილა და დაიწერება. თქვენვე მოჰყევით და სულ ის იძახეთ, რომ სამშობლოდგან არის აღებული ამა და ამ პიესის სურათები, სიტყვები და სხვა... ასე რომ, თქვენს აზრით, ერთი და იგივე აზრი და წინადადება, თუ რამდენჯერმე გამოითქვა, ვოველთვის განსაკუთარებული სიტყვები უნდა მოვიმეტნოთ მის გამოსათქმელად. სწორედ ახირებული და არა ჩვეულებრივი რეცენზენტი ბრძანებულხართ, ბ. თეატრის მოყვარულო!

შემდეგ კიდევ მეკითხებით: „ის ხომ არ იქმნება, თქვენის ფიქრით, ცილის წამება, თუ ვსთქვი, რომ ზოგიერთი ადგილები „მტარვალისა“ მცირე რუსთა დრამა „Невольникъ“-იდგან არის ამოკრებილი და სხვა“. აბა რითი დაგაჯეროთ, რომ მე ეგ პიესა არც წამეკითხავს, არც მისი წარმოდგენა მინახავს და არც შინაარსი ვიცი. ეს-კი მართალია, რომ ჩემი პიესა უკვე დაწერილი იყო, როდესაც მცირე რუსებმა ხსენებული „Невольникъ“-ი პირველად ითამაშეს ტფილისში, მაგრამ თავს არ ვიმართლებ: შეიძლება მართლა რამდენიმე ადგილი ამ ორის პიესისა ერთმანეთს ჰგავდეს, მაგრამ მაინც მიზეზი არ გეძლევათ, ბრძანოთ რომ: „მტარვალი“ სამშობლოსა და სხვა პიესებიდგან ამოკრებილ ადგილებიდგან არის შეკონკილი“.

ვსთქვათ, რომ მეხუთე სურათი სამშობლოდგან არის აღებული, ზოგი ადგილებიც „Невольникъ“-იდგან არის ამოკრებილი. ბაშუსტა, ძალაუნებლიერად ვეთანხმებით თქვენს საეჭვო გამოცანას, მაგრამ რომ ბრძანებთ „და სხვაო...“ უნდა შეგეკითხოთ: სხვა რომელი პიესებიდგან მაქვს ამოკრებილი? მოძებნეთ სადმე რომელიმე პიესები და ბარემ ეგ „სხვაც“ შეასრულეთ, რომ ეგეც როგორმე თავიდგან აიცდინოთ თქვენ მიერ ჩემდამი ცილის წამება.

დასასრულ უნდა გკითხოთ, რითი გემუქრებით მე თქვენ? ან რასაჭიროა ჩემთვის სამოქალაქო სჯულდების შესწავლა და ამი ცილის წამების ვითარების შეგნება? განა აშკარა ცილის წამება არ არის, რომ ბრძანებთ: „მტარვალი“ „სამშობლოსა“ და სხვა პიესებიდგან არის შეკონილი და ვერ-კი ამტკიცებთ, თუმცა ცდილობთ-კი დამტკიცებას. ამასთანავე უნდა განუგეშოთ, რომ მე ფიქრადაც არ მომივა შევისწავლო პირობანი ცილის წამებისათვის დასჯისა და ამით ვისმეს დავემუქრო. ნუ მირჩევთ მის შესწავლას და ნურც ფიქრად გაიტარებთ ინ აზრს, რომ სამოქალაქო სამსაჯულოს მიგმართო. ჩემიც და თქვენი მსაჯულიც საზოგადოება.

ი. ლაზარეშვილი.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲘ.

18 აპრილს.

თელავი, როგორც ეტყობა, აპირებს თეატრის საქმეში წინ წადგას ფეხი. აპირებს-მეთქი იმიტომ მოგახსენებთ, რომ დაპირებასა და დაპირებულის აღსრულებას შორის პატარა-კი არა, დიდი მთა სძევს, თელავი სათეატრო საქმეში, როგორც კვლავ მომიხსენებია „ივერიის“ მკითხველებისათვის, განსაკუთრებითს პირობებშია, ვიდრე სხვა რომელიმე სამაზრო ქალაქი: აქ დამოუკიდებელის მიზეზების გამო თავმ-მოყრილ-არიან საუკეთესო მსახიობნი. თუ თელავს რიგიანად მოწყობილი სკენა არა აქვს, ეს ნაკელი ჩვენის დაუდევნელობის ბრალია; თუ თელავის საზოგადოება ლოტოსა და ბანქოს თამაშს რჩეულობს, ვიდრე თეატრში სიარულს, ეს უტყუარი საბუთია ჩვენის სულისა და გონების დაქვეითებისა; თუ თელაველს თეატრი სამსახარო რამე ჰგონია, ესეც ჩვენი ბრალია, რომ აქამდის ვერ მოგვიხერხებია, სწორე წარმოდგენა ჩაგვესახნა თელაველის გრძნობისა და გონებაში. ჩვენ მეცადინეობა არ უნდა მოვაკლოთ, თუნდა პირველი, მეორე და მესამე კიდეც გაგვიცრუვდეს, სასურველს ვერ მივწვდეთ.

დიაღ, დღეს პირველად იყო წარმოდგენილი ტფილისის დაუმარებლივ ისეთი დრამა, როგორიც არის „პატარა კახი“ აკაკისა. მართალია, თელავისათვის „პატარა კახი“ პირველად იყო წარმოდგენილი, მაგრამ მსახიობთათვის, გარდა ზოგიერთებისა, ამისთანა დრამები პირველი არ არის და ამიტომ ურიგო არ იქნება სიმართლე საჯაროდ გამოთქმული იყოს, საზოგადოდ წარმოდგენამ უხეროდ ჩაიარა. ამის მიზეზი მცირეოდენი თვით დრამაშიაც მოიპოვება, რომელსაც აკლია სასცენო ეფექტი. ამას გარდა სომეხთა საქველ. მოქმ. საზ. თეატრის სცენა მეტად პატარაა, ძლივს იტევს სამ მსახიობსა და სამზედ მეტი-კი მოუხერხებელის ხდება. რასაკვირველია, დეკორატიული მხარეც ნაკლებზედ ნაკლებია და ვერა ღონისძიებით სასურველის სურათის შეკაზმას ვერ მოახერხებთ. ყველა ამ მიზეზებს მსახიობთა უმრავლესობის ნაკლიც ზედ დაეკეცა და შეჰქმნა წარმოდგენის უფერულობა. ეს საზოგადოდ, ახლა კერძოდ მოვიხსენიოთ: მასახიობთა შორის ბატონი გამყრელიძე, რომელიც ასრულებდა მოხუცის ბრძა 'ᲒᲔᲚᲘᲡ როლს, შეუდარებელი იყო. მთელი როლი საუკეთესოდ ჩაატარა გამყრელიძემ, მაგრამ განსაკუთრებით ოთხს ადგილას შეუდარებელი იყო; როცა სთქვა:

„ᲔᲔᲔ, რად მაგონებ დაკარგულს შვილებს?

ვაი მათ მომგონს!... განა არ მეკვდა, მაგრამ არ შემრჩა! გახმეწდა ᲕᲕᲕᲔ!...“ და სხვ. აქ სისრულით გამოხატა მშობლიური გულის ძგერა და მწუხარება. მეორე, როცა ქალი ჰკითხავს: „აბა რას იტყვი, ხომ გაიგონე? მაგის სიტყვები არც ახლა გჯერა?“ ისეთის თავის გაქნევით და ისეთის ხმით წარმოსთქვა, „რა ვიცი შვილო...“, რომ მეტად აღარ შეიძლება გამოიხატოს „ნდობა-უნდობლობა“ ერთად აზელილი. მესამე, როცა მან „მუმლი მუხასა გარს ეხვეოდა“ აუხსნა მუშების გულდა, ნამდვილი მირონ-ცხებული მოძღვარი იყო, რომლის სიტყვაც მუდამ ატყვევებს მსმენელსა. მეოთხე, როცა ის უკანასკნელს გამოსვლაში გამოვიდა მედიდურად და ისე ნათლად დაგვიხატა სიმწარე მშობლისა, რომელსაც უკანასკნელი შვილი უკვდება და ნამდვილი მამულიშვილის გული, რომ-

ლის სივრცეს კიდევ ადგილი დაუტოვებია, მწუხარებასთან ერთად სასიქადულო მხიარულება მამულის მტერთაგან განთავისუფლებისა შეითვისოს, მწუხარების ნაღველში ამოვლებულის სიტყვებით მოახერხოს გამარჯვების მილოცვა და სხვათა გამხნევება.

ქ-ნი დიდებულიძისა ტურფას როლში, უნდა ვსთქვათ, რომ არამც თუ თავისის როლის უხეიროდ შესრულებით ბღალვადა შთაბეჭდილებას, არამედ ბ. გამყრელიძის საუკეთესოდ როლის შესრულების საფასურს ამცირებდა. საზოგადოდ ქ-ნი დიდებულიძისა კომიკურს როლში სასიამოვნო მსახიობია და დრამებს რომ სულ ახლოც არ მიეკაროს, ძალიან კარგს ინებებს.

„პატარა კახის“ როლს ასრულებდა ახალგაზდა მსახიობი ბ. მარჯანოვი, რომელსაც ტფილისი კარგად იცნობს და რომელზედაც ტფილელი რეცენზენტები ბევრს კარგს მოგვითხრობდნენ წარსულს სეზონში. მე პირველად ვხედავ ბ. მარჯანოვს სცენაზედ და ამ ერთი ნახვითაც შეიძლება კაცმა სთქვას, რომ იმას სასცენო ნიჭი არ აკლია, გარეგნობა ბ. მარჯანოვისა და ხმა ბევრს დახმარებას გაუწევს. სიმკვირცხლე და სიფიცხე ძალიან დაბრკოლებს დრამაში და იგივე თვისებანი ხელს შეუწყობენ კომედიაში. სისწრაფე საუბრისა ორივეში დაბრკოლებს. თუ ბ. მარჯანოვს გადაწყვეტილი აქვს სცენას ემსახუროს, ჩვენის აზრით, უპირველეს ყოვლისა უნდა მიაქციოს ყურადღება საუბრის სისწრაფეს და ეცადოს, დაიმორჩილოს იგი იქნობამდის, რომ თვის ნებისამებრ დროზედ შეეძლოს დინჯი საუბარი და დროზედ ჩქარი, ხოლო ორივე შემთხვევაში გამოთქმის სინამდვილე უნდა დაიცვას, რომ გარკვეული იყოს საუბარი. აგრეთვე მოძრაობაც თვითვე დაიმორჩილოს, რომ უნებურად არ მოძრაობდეს. ჩვენ მრავალჯერ უნებური მოძრაობა შევნიშნეთ; უამისოდ ყოველთვის შთაბეჭდილებას ბევრად შეასუსტებს. ბ. მარჯანოვმა „პატარა კახის“ როლი სუსტად ჩაატარა.

ბ-ნი ჩელიძე „გივის“ როლს ასრულებდა და რომ არ მოველოდნი, ისე შეასრულა. ნამდვილად ბ. ჩელიძეს აქვს ნიჭი და ბეჯითობაც ეკიდება საქმეს. მოგეხსენებათ „გივის“ როლი რამდენად ძნელია, მაგრამ, თუ არ ჩავუთვლით უადგილოდ ხმის აყენკლებას, როლი ძალიან კარგად შეასრულა. ეს საუკეთესო მსახიობი მოემატა თელავის სცენას დარბაისლურის როლისათვის. იმედი გვაქვს, შემდეგშიაც ასეთის ბეჯითობით და სიმარჯვით მოეკიდება საქმეს ბ. ჩელიძე. „ბაადურის“ როლს ასრულებდა ბ. თამარიძე და ინდანდის ძალით, რომელიც ამბობს: „ზოგი ჭირი მარგებელიაო“, ისე შეასრულა თვისი როლი, რომ შეიძლებოდა გვეთქვა არა უჭირდა-რაო, ანუ არავის უშლიდაო. ჭირის მარგებლობა გახლდათ იმაში, რომ, მგონი, სურდოსაგან ხმა წასული ჰქონდა და ამან დაფარა ყველა ნაკლულევანება, რადგანაც ბაადური ავადმყოფია, იმის ხმის წასულობა ძალიან უხდებოდა როლს, ხოლო ნაკლი ის იყო, რომ ვერც ერთი სულის მოძრაობა ძველის მხედარისა ვერ დაგვიხატა. ეს ნაკლი ფრიად დიდია, მაგრამ როგორღაც იფარებოდა იმის ხმის წასულობით.

მუშებმა მშვენიერი „მუშური“ და „მუშლი მუხასა“ იმღერეს. განსაკუთრებით მუშების საუკეთესო იყო ბ. გამყრელიძე პატარა, ახლად განმოსული სცენაზედ.

მწყემსისას და ლევან ქაბულიძის როლს ასრულებდა ბ. დოდაშვილი. ამისი მადლობელნი ვართ, რადგანაც როლი რიგიანად ჩაატარა. ერთად-ერთი იმისი ნაკლულევანება მოძრაობის დაუდევნელობაში და ბუნებით, თუ არა ვცდები, ენა-ჩლუნგობაში უნდა ვეძიოთ: სიარული არა ჰქონდა მარჯვე და ვეკაცური. თავს ხშირად ჩამოჰკიდებდა ხოლმე, რაც არ ეთანხმებოდა იმის სულის მოძრაობას და ვეკაცურს გარდაწყვეტილებას. სიტყვების დაბოლოება არ ისმოდა და ეს მით უმეტეს დაეტყო, რომ დრამა ლექსად არის დაწერილი. საზოგადოდ გლეხის როლებს უფრო კარგად ითამაშებს, ვიდრე თავად-აზნაურისას. იმედი გვაქვს, შემდეგისათვის ბ. დოდაშვილი, სადაც საჭიროა, თავის მსვლელობას და კანტურს შეუფერებს როლსა. ჩვენი იმედი მით არის გაძლიერებული, რომ იგი გულითადი, მოყვარულია სცენისა და თუ მან აღნიშნული ნაკლი გაისწორა, სასიამოვნო და გავლენიანი მსახიობი შეიქმნება.

რევაზ ბებურიშვილის როლს ასრულებდა ბ. კაკაბაძე, რომელმაც, თუმცა სრული ბებურიშვილი ვერ დაგვიხატა, მაგრამ ეტყობოდა-კი, რომ თავის მხრივ ყოველი ღონისძიება მიუღია, დაეხატა. ეს პირი პირველად არის სცენაზედ და არ შეიძლება უნიკობა დავწამოთ. იმედი არის, რომ მისს ბეჯითობას, სასურველი ნაყოფი მოჰყვება, მით უმეტეს რომ ნიჭიცა აქვს. როცა იგი „პატარა კახის“ ამალაში ერია, მაშინ სავსებით გვიხატავდა იმ კაცს, რომელიც მზად არის პირველისავე ბრძანებისამებრ გადავარდეს გინდ გაუსვლელს წყალში და გინდ ცეცხლში.

აქ რომ ჩამოვა პატივცემული მკითხველი, იფიქრებს: ეს თითქმის ყველას კარგად შეუსრულებია და რაზედ გაგვიხეთქა გული დასაწყისშივეო. თქვენც მართალი ბრძანდებით, ბ-ნო მკითხველო, ხოლო მოიგონეთ, რომ ორი სპატიო პირი კიდევ აკლია დრამას და ეს ორი პირი გახლავთ მეფე თეიმურაზი და დედოფალი თამარი. პირველის როლს ასრულებდა თ-დი მ., მეორის როლს ქ-ნი ვ. ამათ უხეიროდ შეასრულეს და საზოგადო შთაბეჭდილებაში ავმა კარგს გადაეპარბა. მართალია, მეფე-დედოფლის როლები თავის-თავად უფერულნია, მაგრამ ისე-კი არა, რომ მეფე-დედოფალი ყეინობის ორშაბათს გაგონებდნენ. ორივეს აკლდათ გული და აქედგან წარმოსდგა, რომ იგინი მეფე-დედოფალს არაფრით არ გვაგონებდნენ. თუმცა ორივენი პირველად არიან გამოსულნი და მიეტევებათ იმათ, მაგრამ სხვებს არ მიეტევებათ. საჭიროა, ყოველთვის, როცა-კი რამე ისტორიული წარმოდგენა არის, სპატიო ისტორიულ პირთ მიეკცეს განსაკუთრებითი ყურადღება, რომ იმათი სცენაზედ დანახვა ჩვენში მათდამი პატივისცემას აღძრავდეს; უამისობა დიდი დანაშაული, რომ მეტი არა ვსთქვათ.

არ შეიძლება, არ ვუსაყვედუროთ ბ. აჯიმამუდოვს, რომ წარმოდგენა 18-სათვის დანიშნა და არა 20-სათვის, როცა შვიდეული გასული იქნებოდა კ. ბარბარე ჯორჯაძის დაკრძალვის შემდეგ.

ი.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ.

„ეტნოგრაფიული კონცერტი“ ნ. ს. კლენოვსკისა.

ახლად გამოვიდა წიგნი, რომელსაც ეწოდება „ეტნოგრაფიული კონცერტი“, შედგენილი სამუსიკო სასწავლებლის დირექტორის კლენოვსკის მიერ. ეს წიგნი შეიცავს გადაკეთებულს სახალხო სიმღერებს, რუსეთის სხვა-და-სხვა კუთხეში შეკრებილს. მასში მოთავსებულია: ველიკოროსიული, მალოროსიული, ბელოროსიული, პოლონური, ბოლგარული, ლიტვინური, ქართული, სომხური, ჩუვაშური, კირგიზული, სარტული სიმღერები. ყველა ეს სიმღერები იგალობებს პირველად რუსულს ეტნოგრაფიულს კონცერტზედ. თერთმეტს აპრილს 1893 წ. ამ კონცერტზედ მონაწილეობას იღებდნენ ზოგი-ერთი არტისტები, ხორო და ორკესტრი მოსკოვის საიმპერატორო ოპერისა, თვით ავტორის ლოტბარობით, რომელმაც ჯილდოდ მიიღო წოდება ნამდვილის წევრისა საიმპერატორო საზოგადოების საბუნების-მეტყველო, საანტროპოლოგიო და საეტნოგრაფიო საზოგადოებისა. კონცერტზედ მიართვეს მედალი, რომელზედაც მისი სახელი იყო ამოკრილი. ეს წიგნი გამოცემულია მშვენიერად მოსკოველ ცნობილის წიგნის გამომცემლის იურგენსონისაგან („კავკაზი“).

ᲐᲜᲔᲥᲓᲝᲢᲔᲑᲘ ᲑᲘᲡᲛᲐᲠᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ბისმარკმა ძალიან კარგად დაახასიათა ჭეელ ფავრი. მოგვყავს აქ ბისმარკისავე ნათქვამი ამბავი, თუ როგორ შეჰხვდა იგი საფრანგეთის ამ გამოჩენილს ვექილს ¡და სახელმწიფო კაცს.

„პირველს წამს, რომ შეეხედე, მე მეგონა, სტირის მეთქი და დამშვიდება დაუწყე.

მაგრამ როდესაც დავუკვირდი, დავრწმუნდი, რომ ერთი ცრემლიც არ გადმოუგდია. ის უთუოდ სცდილობდა, ამითი ემოქმედნა ჩემზედ, გული აეჩჩვილებინა ამ კომიკურ მოქმედებით, როგორც საზოგადოდ ჩვეულება აქვთ საფრანგეთის ვექილებს. მე ამასაც-კი ვფიქრობ, რომ სახეზედ ფერი ჰქონდა წასმული, რითაც აიხსნება მისი ხელოვნური ფერის სიმკრთალე და, თვალებსა და ცხვირის ნესტოებს გარშემო გავლებული მწვანე ხაზები. უფრო საზარლად მეჩვენა მეორედ შეხვედრაზედ როტშილდის სასახლეში. ამ დილით ჭეელ ფავრს სწორედ მიწის ფერი ედვა და მძიმე ტანჯვა ეხატებოდა სახეზედაო.“

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ბატონო რედაქტორო!

ამის წინად „ივერიის“ 56 №-ში დბეჭდილი იყო განცხადება ჩვენის დაფლ-ლაკის წიგნების გამომცემელის ზაქარია ჭეიჭანიძისა, რომლითაც იგი სთხოვდა საზოგადოებას შემწეობას წინაგვე ხელის მოწერით მის მიერ განზრახული წიგნების გამოცემაში. ეკუთვნილი ჩვენგანრივად მოკლეგან დაეხმარნა ამ მოდგაწეს და ის მცირე შემწეობა მაინც